საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1517

ქ. თბილისი

02/11/2021

ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე შპს „გლობალ კომპანის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გლობალ კომპანის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე შპს „გლობალ კომპანის“ დირექტორის ხვიჩა ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 132 $მ^2$ ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 62.09.55.317). ტერიტორიის GPS კოორდინატებია X-331700, Y-4611893. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 86 მეტრით. სკრინინგის განცხადების თანახმად უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. ფოცხოვისწყალი (ფოცხოვი) მიედინება 14 მეტრში. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ფოცხოვისწყალის (ფოცხოვი) წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია ხვდება მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წყალდაცვით ზოლში დაშვებულია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება/მოდერნიზაცია. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მდინარის წყალდაცვითი ზოლის შეზღუდვები არ ვრცელდება შპს „გლობალ კომპანის“ არსებულ და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ზემოაღნიშნული ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2014 წლიდან, ხოლო 2020 წლიდან განხორციელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნული ავტოგასამართი სადგურისთვის 2017 წლის 17 თებერვალს სამინისტროსთან შეთანხმებული იყო „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.“

2021 წლის 22 ივნისს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის გზატკეცილზე მდებარე შპს „გლობალ კომპანის“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტი. 2021 წლის 23 ივნისს საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №055958 ოქმი და მასალები განსახილველად გადაიგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

2014 წლიდან ობიექტს გააჩნდა ოთხი, სამი 6 ტონიანი ბენზინისა და ერთი 26 ტონიანი დიზელის მიწისქვეშა რეზერვუარი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „გლობალ კომპანიმ“ 2020 წლიდან განახორციელა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც არსებულ რეზერვუარებს დაემატა ერთი 3 ტონიანი ბენზინის რეზერვუარი, შესაბამისად არსებული მდგომარეობით საწარმოში განთავსებულია ხუთი - ბენზინის ოთხი (6; 6; 6 და 3 ტონიანი) და დიზელის ერთი (26 ტონიანი) მიწისქვეშა ჰორიზონტალური ლითონის რეზერვუარები. ასევე, დაემატა საწვავის 6 ჩამოსასხმელი, შესაბამისად ძველი ბენზინისა და დიზელის ჩამოსასხმელი 2 ერთეული პისტოლეტი ჩანაცვლდა 8 (4 ბენზინისა და 4 დიზელის) პისტოლეტით. სკრინინგის განცხადების თანახმად, რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით. საწვავის მიღება ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით და ისხმევა მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც მიეწოდება ჩამოსასხმელ სვეტებს. რეზერვუარები აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. კომპანიას დაგეგმილი აქვს წლიურად 700 ტ ბენზინის და 800 ტ დიზელის საწვავის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე 24 საათი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსებულია საოპერატორო და საპირფარეშო. ავტოტრანსპორტის სამოძრაოდ განკუთვნილი ტერიტორია მობეტონებულია. გზის გასწვრივ განთავსებულია ფასმაჩვენებელი დაფა ელ. სანათებით.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა გაფრქვევაც მოსალოდნელია ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისა და გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. ამასთან ბენზინის და დიზელის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია

მიწისქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის გამოყენება, შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების (2 $მ^3$/წ) წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად. ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ უბანზე, სადაც სხვადასხვა სახის ნარჩენისთვის განკუთვნილია შესაბამისი კონტეინერი, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განხორციელდება პერიოდულად, მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება გათვალისწინებულია საწვავის გასაცემი სვეტების მოედნის გარე პერიმეტრზე განთავსებული არხების საშუალებით, საიდანაც ჩაედინება მიწისქვეშა სალექარ-ავზს. დალექვის შემდეგ დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი/წყალი განთავსდება კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსებულია გადახურულ ნაგებობაში, ხოლო საპროექტო ტერიტორია მობეტონებულია, შესაბამისად სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკი არ არის მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. წყალაღება გათვალისწინებულია ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება საკანალიზაციო სისტემაში. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (სახანძრო დაფა, ცეცხლმაქრი და ა.შ.), ხოლო უსაფრთხოების საკითხებზე ობიექტზე დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდება შესაბამისი ტრენინგები. ამასთან, ტერიტორიაზე განთავსებულია მეხამრიდი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან, შესაბამისად საქმიანობა არ ითვალისწინებს მცენარეულ

საფარზე ზემოქმედებას. ამასთან, საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს ახალციხის ციხის კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართი სადგური ფუნქცონირებს 2014 წლიდან, ამასთან საწვავის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშ, რაც ამცირებს გარემო ფაქტორებზე ზემოქმედებას, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი, მსგავსი პროფილის ობიექტები საპროექტო ავტოგასამართი სადგურიდან დაშორებულია 100-200 მეტრით, თუმცა, საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე შპს „გლობალ კომპანის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „გლობალ კომპანი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გლობალ კომპანის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლობალ კომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი